
ქართული ფოლკლორი და მსოფლიო მითოლოგია
Georgian Folklore and World Mythology

Dalila Bedianidze

დალილა ბედიანიძე

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

Georgia, Tbilisi

საქართველო, თბილისი

One Tale of „A thousand and One Nights“ and Georgian Folk Tales

**„ათას ერთი ღამის“ ერთი ზღაპარი და ქართული ხალხური
ზღაპრები**

In her study, *“One Tale of One Thousand and One Nights and Georgian Folk Tales”*, Dalila Bedianidze examines thematic and narrative parallels between classic international stories and Georgian folklore. Central to the analysis is the motif of the beloved bird’s sacrifice, found in tales such as *One Thousand and One Nights’* "Story of King Sindbad," "Kilila and Damana," the 67th Arak "Sovereign and Hawk," the Persian *Tutiname*, and Georgian folk narratives like "Kvavsakdara" and "Sakdar of the crow".

The work explores shared elements across these stories, focusing on character roles, themes, and actions.

The study discusses both the similarities and distinctions between these tales.

Keywords: Sparrow, Hawk, Crow, Snake, Sacrifice, Georgian folklore, Persian and Arabic tales

საკვანძო სიტყვები: შვეარდენი, ქორი, ყვავი, გველი

საქართველო ოდითგანვე იყო ხიდი აღმოსავლეთისა და დასავლეთის ქვეყნებს შორის. მისი კულტურა და ისტორია ამ ორივე მხარეს უკავშირდება. განსაკუთრებით ეს აისახა ქართული ხალხური ზღაპრების მაგალითზე. ქართული ხალხური ზღაპრები არაერთი ქვეყნის ხალხურ ზღაპრებთან იჩენს საინტერესო მიმართებას, რომელთა შორისაც არის არაბული „ათას ერთი ღამის“ ზღაპრები. მსგავსი ზღაპრები, როგორც ქართული, ასევე არაბული, აგებულია საერთაშორისო სიუჟეტებზე, რაც მიგვანიშნებს, რომ მათ შეეხო გლობალიზაცია და მსგავსება გლობალიზაციის შედეგია. ეს ყოველივე კი გამოწვეული იყო შემდეგი პოლიტიკური ვითარებით: ჯერ კიდევ V საუკუნეში ჩვენი წელთაღრიცხვით საქართველოში სპარსელები ბატონობდნენ, რაც 643-645 წლებიდან შეცვალა არაბთა და მათი ამირას ბატონობამ. ეს გრძელდებოდა მერვე-მეცხრე-მეათე საუკუნეებში. პირველი პერიოდი ქართული მწერლობისა ემთხვევა სპარსელთა და არაბთა ბატონობის ხანას,

რაც, რასაკვირველია, მოიცავდა ქართულ კულტურას, მათ შორის ფოლკლორსაც და გასაკვირი არ არის, რომ მსგავს თემებსა და სიუჟეტებზე აგებული ზღაპრები შექმნილიყო. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ „ინდური და სპარსული, ებრაული და ქრისტიანული, ბაბილონური და ეგვიპტური მასალა შერწყმულია წმინდა არაბულ ელემენტებთან უცნობ ხელოვანთა მიერ, რომელთაც ჩვენ უნდა ვუმაღლოდეთ „ათას ერთი ღამის“ კორპუსის იშვიათ სიმდიდრეს“ (წერეთელი, 1967, გვ. XVI). „ათას ერთი ღამის“ წარმოშობის შესახებ მრავალი სხვადასხვა შეხედულება არსებობს, მათ შორის ვარაუდიც, რომ ძველი შექმნილია არაბულ ნიადაგზე. „ათას ერთ ღამეში“ გვხვდება აგრეთვე დიდაქტიკური ხასიათის მოთხრობები, მსგავსი „ქილილა და დამანასი“ და ინდური წარმოშობის სხვა არაკები. გადაკეთებული არაბულ ყაიდაზე“ (წერეთელი, 1967, გვ. VII).

„ათას ერთი ღამის“ ზღაპრებს შორის გვხვდება ზღაპარი „სინდბად მეფის ამბავი“, რომელსაც მეხუთე ღამეს უყვება მეფეს შეჭრაზადი და რომელიც თემატურ-სიუჟეტურ მსგავსებას იჩენს ქართულ საზღაპრო სამყაროსთან – ეს არის იუნან მეფის ამბავი, რომელმაც უთხრა თავის ვაზირს, გშურს ჩემი ახლობელი ბრძენისა, გინდა, რომ მოვკლა და მერე კი ვინანო, როგორც სინდბად მეფემ ინანა თავისი შევარდნის მოკვლაო. ეგ როგორ იყო? – ჰკითხა ვაზირმა და მეფემაც უამბო „სინდბად მეფის ამბავი“ („ათას ერთი ღამე“, 1969, გვ. 51-53). ეს ამბავი წარმოადგენს თავგადასავალს პატრონისთვის თავდადებული და მისი სიკვდილისგან გადამრჩენელი ფრინველისა, რომელიც ბოლოს კვდება. სიუჟეტურად ამბავი ენათესავება „ქილილასა და დამანას“ 67-ე არაკს „ხელმწიფე და ქორი“, სპარსული „თუთი-ნამეს“ პირველ ამბავს (ამაზე ქვემოთ). ასევე თემატურ მსგავსებას იჩენს ქართულ ხალხურ ზღაპრებთან „ყვავსაყდარა“ და „ყვავის საყდარი“. ეს არც არის გასაკვირი. „ქილილა და დამანა“ მსოფლიოში გავრცელებული ლიტერატურული ძეგლია. იგი მოიპოვება მწიგნობრობის მქონე თითქმის ყველა ხალხის ენაზე. „ქილილა და დამანას“ სამშობლო ინდოეთია. თავდაპირველად ის დაიწერა სანსკრიტულ ენაზე. ჩვენი წელთაღრიცხვის VI საუკუნეში „ქილილა და დამანა“ დამუშავდა ფალაურ (შუა-სპარსულ) ენაზე და იმავე საუკუნეში ითარგმნა სირიულად. VIII საუკუნეში ჩამოყალიბდა „ქილილა და დამანას“ არაბული რედაქცია. ეს არაბული რედაქცია დაედვა საფუძვლად თხზულების შემდეგდროინდელ მრავალ თარგმანს სხვადასხვა ენაზე. ქართულად „ქილილა და დამანა“ თარგმნილი უნდა იყოს არა უგვიანეს XII საუკუნისა (კეკელიძე-ბარამიძე, 1969, გვ. 395-404).

„ქილილა და დამანას“ ძველ ქართულ თარგმანს ჩვენს დრომდის არ მოუღწევია... ტექსტის ხელახალი ქართული თარგმანები ეკუთვნის XVI-XVIII საუკუნეებს. იგი თარგმნა ასევე სულხან-საბა ორბელიანმა ვახტანგ VI-ის თხოვნით, რომელსაც შესრულებული ჰქონდა ამ ნაწარმოების პწკარედული თარგმანი, რაც გასაჩარხავად მიანდო სულხან-საბას.

დავუბრუნდეთ „ათას ერთი ღამის“ ზღაპარს „სინდბად მეფის ამბავი“ („ათას ერთი ღამე“, 1969, გვ. 51-53):

სპარსეთის მეფეს თავისი გაზრდილი შევარდენი ჰყავდა და არასდროს იშორებდა, სანადიროდაც დაჰყავდა. გაუკეთა ოქროს თასი, კისერზე ჩამოკიდა და წყალს იქიდან ასმევდა. ერთხელაც, სანადიროდ ყოფნისას, ნადირის დასაჭერად ხაფანგი გამართეს. შიგ ქურციკი მოხვდა, რომელიც მეფეს გაექცა და მეფე მას მთა-მთა დაედევნა. მეფემ შევარდენი მიუშვა და იმან ქურციკი დააბრმავა. მეფემ გურზით მოკლა ქურციკი, გადაატყავა და უნაგირზე ჩამოიკიდა. იმ უდაბურ ადგილზე წყალი არ მოიპოვებოდა. ცხელოდა. მწყურვალე მეფემ ერთი ხე დაინახა, რომელზეც ზეთის მსგავსი წყალი ჩამოდიოდა. მეფემ შევარდენს ჩამოხსნა თასი, აავსო იმ წყლით და წინ დაიდგა. შევარდენმა თასს ფრთა წაჰკრა და გადააბრუნა. მეფემ ისევ აავსო თასი და შევარდენს დაუდგა, იფიქრა, სწყურიაო. შევარდენმა თასი ისევ გადააბრუნა. ასე მოიქცა მესამედაც, როცა თასი მეფემ ცხენს დაუდგა. მეფემ შეაჩვენა შევარდენი და ხმლით ფრთები დააყრევინა. შევარდენმა თავით ანიშნა, ხის კუნწეროს შეხედო. მეფემ აიხედა და დაინახა, ხის წვეროზე გველი წევს და ხეზე რომ წყალი ჩამოდის, ის გველის შხამი ყოფილა. ინანა მეფემ შევარდენს რომ ფრთები მოკვეთა. ქურციკი თავის

კარავში მიიტანა და მზარეულს გადაუგდო მოსამზადებლად. მეფე ტახტზე დაჯდა. შევარდენი ხელზე ესვა. უეცრად შევარდენმა დაიკვნესა და მოკვდა. მეფემ მწუხარებისგან შეჰყვირა.

ამბავი მეფის ერთგული ფრინველისა, რომელმაც მეფე მოწამვლისგან იხსნა და თავი გაწირა პატრონისთვის, საერთაშორისო სიუჟეტზეა აგებული და გვხვდება სულხან-საბა ორბელიანის მიერ ქართულად გადმოღებულ იგავ-არაკებში „ქილილა და დამანა“. ეს არის არაკი 67-ე, სათაურით „ხელმწიფე და ქორი“ („ქილილა და დამანა“, 1949, გვ. 405-406): ერთ მეფეს ნადირობა უყვარდა და ჰყავდა ერთი კარგი ქორი, რომელიც ასევე ძალიან უყვარდა. ერთ დღეს ნადირობისას ქურციკს დაედევნა, რომელიც გაექცა და მეფე მის დევნაში თავის სპას დაშორდა. ამასობაში მოსწყურდა. დაუწყო ძებნა წყალს და ერთ კლდეზე ნახა კამკამა წყალი ჩამოსწვეთდა. მეფემ ორჯერ აავსო თასი იმ წყლით, მაგრამ ქორმა ორჯერვე დაუქცია. გაბრაზებულმა მეფემ ქორი მიწას დააწყვიტა და მოკლა. მეავჟანდემ მეფე რომ მოწყურებული და ქორი მოკლული ნახა, მათარა მოიხსნა და მეფეს წყალი მისცა. იმან უთხრა, ამ კლდეზე ჩამომავალი წყალი მინდა, სხვა წყალი არაო. აგზავნა კლდეზე მეავჟანდე და იმან ნახა იქ ერთი მკვდარი გველეშაპი, რომელსაც სიცხე ადნობდა და მისი გესლიანი ქონი წყალს ერთვოდა. მეავჟანდემ ეს მეფეს მოახსენა და მათართ წყალი მისცა. მეფე თან წყალს სვამდა, თან ტიროდა. მეავჟანდემ ტირილის მიზეზი ჰკითხა. მეფემ უამბო, როგორ მოკლა ქორი. მეავჟანდემ უთხრა, იმ ქორს დიდი ფათერაკისგან გადაურჩენიხარ, ჯობდა, არ აჩქარებულიყავ და ქორი არ მოგეკლათ.

ეს არაკი იმ კაცის ცოლმა მოყვა, რომელმაც ერბო-თაფლის ქილა გატეხა (იხ. არაკი „გლახაკი და ქილა ერბო“). „ამ არაკით ნათქვამია, რომ ესეთი საქმე სიჩქარით მრავალი მომხდარა და სულ-მოკლეობით, სინანულის ზღვასა დანთქულანო – თქვა ცოლმა – სიჩქარე კაცსა ესეთსა ორმოს ჩაადებს, ასსა წელსა ეცადოს, ვედარ ამოვიდესო“ („ქილილა და დამანა“, 1949, გვ. 407). აქ ალბათ მართებულია გავიხსენოთ ქართული ანდაზა: „აჩქარებითა სოფელი არავის მოუქამია“.

სპარსულ ძეგლში „თუთი-ნამე“ მოთხრობილია დამასკოს ხელმწიფის ამბავი, რომელმაც დაუფიქრებლად მოკლა თავისი ქორი და მერე ძალიან ინანა, მაგრამ რაღას უშველიდა. ეს ამბავი თუთიყუმმა უამბო ქმრის მოღალატე ქალს, იგი „თუთი-ნამეს“ პირველი ამბავია და ეწოდება „დამასკოს ხელმწიფის ამბავი“: ვინმე ხელმწიფე ყოფილა, ერთი ქორი ჰყოლია, თურმე სამეფო ქორს ეძახდნენ. ხელმწიფესაც ძალიან უყვარდა თავისი ქორი.

ერთ დღეს სანადიროდ წასულმა კარგად ინადირა და პურის ჭამის დროს წყალი მოითხოვა. სანამ მონები წყალს უშოვიდნენ, მეფე წყურვილმა ძალიან შეაწუხა და ცხენით თავი უდაბნოს მისცა. ერთ მთასთან ნახა წყარო, მაგრამ წყალს ყვითელი ფერი დაჰკრავდა. მეფემ ჯამით წყალი ამოიღო და უნდა დაეღია, მაგრამ ქორმა ფრთა აუკრა და დაუქცია. ასე მოხდა სამჯერ. მეფე წყურვილისგან სულს ღაფავდა. გაბრაზდა. ქორი მიწაზე დაანარცხა და მოკლა. მერე წყაროს სათავე მონახა, რათა გაეგო წყალი რატომ იყო გაყვითლებული. ნახა, რომ წყაროსთვალში გველეშაპი ჩაწოლილა და წყალს თქვლეფს, ყოველ მოხვერეპაზე წყალი ყვითლად ბინძურდება. გველეშაპმა შემოუტია. მეფე ცხენით გაიქცა და გადაურჩა გველეშაპს. ამასობაში მისი მხედრებიც წამოეწივნენ. მეფემ მათი დანახვით კი გაიხარა, მაგრამ ქორის მოკვლის გამო ბევრი ინანა, თუმცა წამხდარ საქმეს რაღას უშველიდა („თუთი-ნამე“, 2008, გვ. 7-9).

როგორც ვხედავთ, ეს ამბავი ახლოს დგას „ქილილა და დამანას“ ზემოხსენებულ არაკთან. ადამიანის ერთგული და გადამრჩენელი ფრინველი აქაც ხელმწიფის საყვარელი ქორია, რომელიც სამჯერ დაუქცევს ხელმწიფეს მოწამლულ წყალს, ოღონდ განსხვავებით „ქილილა და დამანასგან“ და „სინდბად მეფის ამბისგან“ გველი, გველეშაპი მკვდარი კი არ არის, ცოცხალია.

ადამიანის ერთგული გონიერი ფრინველის შესახებ ქართულ საზღაპრო ეპოსში გვხვდება ეტიოლოგიური ხასიათის პატარა ზღაპარ-გადმოცემა „ყვავსაყდარა“ (ხალხური სიბრძნე, III, 1964, გვ. 247). იგი ჩაწერილია თინა მელიქიშვილის მიერ – ფოლკლორის არქივი №30373:

„ენისელში გლეხები ყანას მკიდნენ. სადილად ცხვარი დაკლეს და მოსახარმად ცეცხლზე შედგეს ქვაბით. მზარეულს ჩასძინებოდა. ამ დროს ქვაბში გველი ჩასულიყო და ჩახარშულიყო ხორცთან ერთად.

მუშები სადილად გამოვიდნენ. მოუთმენლად ელოდნენ საჭმელს. ამ დროს, სად იყო და სად არა, წამოვიდა ერთი ყვავი და ქვაბს თავზე გადაუარა ჩხავილით.

– გააგდეთ ეს საზიზღარიო! – ხალხმა იყვირა – აუქშიეს ყვავს ერთხელ, ორჯერ, მაგრამ ის თავისას არ იშლიდა, თავს დასტრიალებდა ხალხს და საცოდავად ჩხაოდა. დაუშინეს ქვები, ჯოხები. უცებ ყვავი შურდულის ქვასავით დაეშვა და ქვაბში ჩავარდა, ჩაიფუფქა.

წამოიშალა ხალხი გაკვირვებული და ნაწყენი, წამოაპირქვავეს ქვაბი და ჩახარშული შხამიანი გველი კი წამოჰყვა.

მუშების გადარჩენისათვის იქ პატარა ეკლესია ააშენეს. იმ ეკლესიას ახლაც „ყვავსაყდარას“ უწოდებენ.

ამ ზღაპარს მოეპოვება ვარიანტიც – სათაურით „ყვავის საყდარი“: „სოფელ ენისელის მახლობლად მინდორში მუშები ყანას მკიდნენ. იქვე, ხის ძირში, ცეცხლზე ქვაბი იდგა და შიგ საჭმელი იხარშებოდა. ამ ქვაბში ჩავარდნილა მცურავი. ეს დაუნახავს ყვავს. დაუწყია ჩხავილი, რომ ეს ამბავი როგორმე მუშებისთვის ეცნობებინა.

თურმე, ყვავი ჩხავილით ხან მუშებს, ხან ქვაბის თავს დასტრიალებდა, მაგრამ მუშები ყანის მკით ისე იყვნენ გართული, რომ ვერ გააგებინა. ბოლოს ერთი მუშა წამოვიდა სადილის წამოსაღებად. ყვავმა, სხვა რომ ვერაფერი გააწყო, თვითონ ჩავარდა ქვაბში.

მუშებმა, იმის გამო, რომ ქვაბში ყვავი იყო ჩავარდნილი, მოხარშული საჭმელი აღარა ჰამეს, გადაღვარეს და ნახეს შიგ გველი. მაშინ მიხვდნენ, თუ ყვავმა მათ რა სიკეთე უყო.

ამ ცეცხლის ნანთებზე, სადაც ყვავი დაიღუპა, აუგიათ ყვავის საპატივცემოდ პატარა საყდარი. ეს საყდარი დღესაც არის და ხალხი ყვავის საყდარს ეძახის“ (ქართული ზეპირსიტყვიერება, 1976, გვ. 197).

როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ამ ამბის სიუჟეტი საერთაშორისოა და მისი ნომერი საერთაშორისო სიუჟეტთა კატალოგში არის ATU 178 (Uther, Hans-Jörg, 2004).

ზემოხსენებულ ხუთ თხზულებას შორის თავს იჩენს მთელი რიგი მსგავსება-განსხვავებანი.

ადამიანის, პატრონის გველის შხამით მოწამვლით დაღუპისაგან გადამრჩენელი გონიერი ფრინველი არაბულ ზღაპარში შევარდენია, „ქილილა და დამანას“ არაკში – ქორი, ისევე, როგორც „თუთი-ნამეში“, ხოლო ქართულ ხალხურ ზღაპრებში – ყვავი. არაბულ ზღაპარსა, „ქილილა და დამანასში“ და „თუთი-ნამეში“ გადარჩენილი პერსონაჟი ხელმწიფეა, რომელიც ნადირობს, ხოლო ქართულ ხალხურ ზღაპრებში – მუშები, რომელნიც ყანას მკიდნენ. „ათას ერთი ღამის“ ზღაპარსა, „თუთი-ნამეში“ „ქილილა და დამანასში“ შევარდენი, ქორი გველის ან მკვდარი გველეშაპის შხამით მოწამლულ დასალევ წყალს დაუღვრიან პატრონს (წყალი ერთგან ხეზე ჩამოსწვეთს, მეორეგან – კლდეზე), ხოლო ქართულ ზღაპრებში ყვავი ქვაბში ცხვრის ხორცთან ერთად ჩახარშული გველის შხამით მოწამვლისგან იხსნის ხალხს – ქვაბს ჩხავილით დასტრიალებს, ხალხს არ ეპუება და ბოლოს თავს გაწირავს – მდულარე საჭმლიან ქვაბში ჩახტება და ჩაიფუფქება – ეს მოტივი კი მხოლოდ ქართულ ხალხურ ზღაპრებში გვხვდება. „ათას ერთი ღამის“ ზემოხსენებულ ზღაპარშიც და „ქილილა და დამანას“ არაკშიც მოქმედება ქურციკზე მეფის ნადირობისას ვითარდება, ისევე, როგორც „თუთი-ნამეში“ მეფე ნადირობს, ხოლო ქართულ ზღაპრებში – მკისას. აქ ქურციკი, მეფე და ნადირობა აღარ იხსენიება. არაბულ ზღაპარში, „თუთი-ნამეში“, „ქილილა და დამანას“ არაკში მეფე თავის საყვარელ უდანაშაულო ფრინველს მისი საქციელით გაბრაზებული ან ფრთებს დააყრევინებს ხმლით (ცოტა ხნის შემდეგ ფრინველი კვდება), ან მიწას დაახეთქებს და უდანაშაულოდ კლავს, ქართულ ხალხურ ზღაპრებში კი ყვავი წყალს კი არ დაუღვრის მეფეს, არამედ მდულარე ქვაბში ჩახტება, თავს სწირავს ადამიანებისათვის, ნებაყოფლობით იკლავს თავს ხალხის გადასარჩენად, რაც დიდ ჰუმანიზმზე მიგვანიშნებს. საყვარელი ფრინველის შემოკვდომის გამო მეფე არა-

ბულ ზღაპარსა, „თუთი-ნამესა“ და „ქილილა და დამანას“ არაკვიც დამწუხრებულა და მეტი არაფერი, ხოლო ქართულ ხალხურ ზღაპრებში ამაგდარ ყვავს, რომლის სიკეთეც კერძიანი ქვაბის გადმოპირქვავების შემდეგ ირკვევა (რადგან ყვავი შიგ ჩახტა – დ.ბ.) ხალხი ნახავს, რომ შიგ შხამიანი გველი იყოს ჩახარშული – მადლიერი ხალხი ყვავს ეკლესიას აუშენებს, რომელსაც ახლაც „ყვავსაყდარა“, ანუ „ყვავის საყდარი“ ეწოდება.

ფრინველის სიკვდილი ჩვენს მიერ განხილულ ზღაპრებში სხვადასხვაგვარია: ყვავი თავს სწირავს ადამიანებისთვის, თავს იკლავს, ქორს პატრონი მიწაზე დაანარცხებს და ისე კლავს, ხოლო შევარდენი ფრთების დაჭრის შემდეგ მალე თავისით კვდება. მხოლოდ ფრინველის სიკვდილის შემდეგ ხდება ნათელი მისი საქციელის მიზეზი – როგორც არაბულ ზღაპარსა, „თუთი-ნამესა“ და „ქილილა და დამანასში“, ასევე ქართულ ხალხურ ზღაპრებში შხამიანი გველი (თუ გველეშაპი) წარმოადგენს საფრთხეს ადამიანებისთვის – კლდეზე თუ ხეზე მკვდარი გველეშაპი თუ გველია, დამასკოს მეფეს გველეშაპი შეხვდება, საქმელში შხამიანი გველია ჩახარშული. ყველგან გველის შხამი ფიგურირებს. შევარდენი, ისევე როგორც ქორი, მომინაურებულია, მონადირეა, პატრონი ჰყავს, ყვავი კი გარეული ფრინველია, უპატრონო, მაგრამ აქ ყველას პატრონი, ადამიანის მოყვარე და მოკეთე. ქართულ ხალხურ ზღაპრებში ადამიანთათვის თავდადებული ფრინველი უკვდავყოფილია ხალხის მიერ. შევარდენი, ქორი და ყვავი ფუნქციურად ერთმანეთს შეესატყვისება და ფრინველთა გონიერებაზე, მათი ადამიანისადმი სიყვარულსა და ერთგულებაზე მეტყველებს. „ქილილა და დამანას“ არაკი უფრო ახლოს დგას არაბულ „ათას ერთი ღამის“ ზღაპართან და „თუთი-ნამესა“ ამბავთან, ვიდრე ქართული ზღაპრები „ყვავსაყდარა“ და „ყვავის საყდარი“, სადაც არა სამეფო კარის, არამედ უბრალო მშრომელი ადამიანების – გლეხების ცხოვრება და ქართული სოფლის კოლორიტია ასახული. „სინდბად მეფის ამბავშიც“, „თუთი-ნამესაშიც“ და „ხელმწიფე და ქორშიც“ აღწერილია აღმოსავლური ქვეყნის სამეფო კარის ცხოვრება, ხოლო ქართულ ზღაპრებში ქართული სოფლის ცხოვრების ერთი კერძო ეპიზოდი. არ არის გამორიცხული ამ ზღაპრების საერთო აღმოსავლური წარმოშობა. „ქილილა და დამანას“, „თუთი-ნამესა“, ასევე – „სინდბად მეფის ამბის“ ავტორი ალბათ იცნობდა ლეგენდას ადამიანისათვის თავდადებული ფრინველის შესახებ, რომელიც თემატურად და სიუჟეტურად ენათესავება ქართულ ხალხურ ზღაპრებს. იმ პერიოდში, როცა „ათას ერთი ღამის“ ზღაპრები და „ქილილა და დამანას“ არაკები ყალიბდებოდა, საქართველოში სპარსობა და არაბობა იყო და ამანაც უთუოდ იქონია გავლენა.

„ათას ერთი ღამის“ ზღაპარში მოქმედება ხდება სპარსეთში, „ქილილა და დამანასში“ მოქმედების ადგილი დაკონკრეტებული არ არის, „თუთი-ნამესაში“ დამასკოა მოქმედების ადგილი, ხოლო ზღაპრებში „ყვავსაყდარა“ და „ყვავის საყდარი“ მოქმედება ვითარდება საქართველოში, კახეთში, სოფელ ენისელში.

ზემოხსენებული არაბული ზღაპარი „თუთი-ნამესა“ ამბავი და არაკი „ქილილა და დამანასიდან“ მოთხრობილია დიდაქტიკური მიზნით და ფილოსოფიური გააზრებით (რომ ადამიანი არ უნდა აჩქარდეს სასიკვდილო განაჩენის გამოტანისას – დ.ბ.), ხოლო „ყვავსაყდარა“ და „ყვავის საყდარი“ ეტიოლოგიური ხასიათის ზღაპრებია. ხუთივეგან გველის, გველეშაპის შხამით ადამიანის მოწამლაა აცილებული გონიერი ფრინველის მიერ, ხოლო გველის მრავალმნიშვნელოვანი სიმბოლიკა კარგად არის ცნობილი თვით ძველი აღთქმიდან.

ამრიგად, ჩვენ განვიხილეთ საერთაშორისო სიუჟეტზე აგებული ხუთი ნაწარმოები:

1. „ათას ერთი ღამის“ ზღაპარი „სინდბად მეფის ამბავი“, რომელიც მოგვითხრობს, თუ როგორ დააჭრა მეფე სინდბადმა ფრთები თავის საყვარელ შევარდენს სასურველი წყლის დაღვრის გამო ნადირობისას და ამის გამო შევარდენი მოკვდა;

2. „ქილილა და დამანას“ 67-ე არაკი „ხელმწიფე და ქორი“, სადაც ერთმა ხელმწიფემ, რომელსაც ასევე მოსწყურდა ნადირობისას და სასურველი წყალი საყვარელმა ქორმა დაუქცია, ამიტომ ქორი მიწას დააწყვიტა და მოკლა (ორივეგან პატრონის საყვარელი, ერთგული ფრინველის სიკვ-

დილის შემდეგ ირკვევა ფრინველის პატრონისთვის თავდადება, გველის შხამისგან რომ იხსნა პატრონი);

3. ასევე ქორია პატრონის მხსნელი „თუთი-ნამეში“. „თუთი-ნამეს“ პირველი ამბავი, სადაც დამასკოს მეფემ თავისი საყვარელი ქორი მოკლა, რადგან მან მწყურვალეს სამჯერ დაუქცია წყალი – მოწამლული გველეშაპის შხამით, მეფე აჩქარდა და მერე სინანულში ჩავარდა, ისევე, როგორც „ქილილა და დამანას“ არაკში.

4. ქართული ხალხური ზღაპრები „ყვავისაყდარა“ და „ყვავის საყდარი“, სადაც მოთხრობილია, თუ როგორ იხსნა მომკვლელები სოფელ ენისელში ერთმა ყვავმა გველის შხამისაგან, რომელიც გლეხების საჭმელში იყო ჩახარშული – საჭმლით სავსე მდუღარე ქვაბში ჩახტა, თავი მოიკლა, თავი გაწირა უდანაშაულო ადამიანების გადასარჩენად, მისი სიკვდილის შემდეგ გაცხადდა მისი გმირობა, რისთვისაც იმ ადგილზე მადლიერმა ხალხმა მისი სახელობის ეკლესია „ყვავისაყდარა“, ანუ „ყვავის საყდარი“ ააშენა. ეს ხუთივე ნაწარმოები აგებულია საერთაშორისო სიუჟეტზე, ამასთან, გვხვდება საერთო პერსონაჟები – ადამიანისთვის თავდადებული და საკუთარი სიცოცხლის ფასად ადამიანთა სიკვდილისგან მხსნელი ფრინველები: შევარდენი, ქორი, ყვავი. გვხვდება ასევე გველი, უპირატესად მკვდარი, რომელიც თავისი შხამით წამლავს სასმელ წყალს თუ საჭმელს. ასევე, საერთო პერსონაჟები არიან ადამიანები – მეფე სინდბადი, შევარდენის პატრონი, დამასკოს მეფე – ქორის პატრონი, ვინმე სხვა მეფე – ქორის პატრონი და გლეხები, მომკვლელები. ამ პერსონაჟებს იხსნის გველის შხამით მოწამვლისაგან გონიერი ფრინველი, რომლის ამბავიც ხალხშია გავრცელებული, საუკუნეები გამოუვლია და მეტყველებს უხსოვარი დროიდან საქართველოს აღმოსავლეთის ქვეყნებთან მჭიდრო კავშირზე, განვითარებულ კულტურულ-განმანათლებლურ ურთიერთობებზე. ნიშანდობლივია, რომ ქართულ ზღაპრებში ღმერთმა ყვავის მოვლინებით გადაარჩინა ადამიანები სიკვდილს, რაც იმის მიზეზი გახდა, რომ სარწმუნოების სახლი, ანუ ეკლესია ააშენა ყვავის სახელზე მადლიერმა ხალხმა, ხუთივე ზემოთ განხილული ნაწარმოების იდეა ჰუმანისტურია.

გამოყენებული ლიტერატურა:

„ათას ერთი ღამე“. (1969). ტ. I, თბილისი: „საბჭოთა საქართველო“.

„თუთი-ნამე“. (2008). სპარსულიდან თარგმნა მაგალი თოდუამ, თბილისი: „ქართული ბიოგრაფიული ცენტრი“, „საარი“.

კეკელიძე, კ., ბარამიძე, ალ. (1969). ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, თბილისი: თსუ.

„ქილილა და დამანას“. (1949). იგავ-არაკები ქართულად გადმოღებული ვახტანგ VI-ისა და სულხან-საბა ორბელიანის მიერ, თბილისი: „საბჭოთა მწერალი“.

ქართული ზეპირსიტყვიერება. (1976). შეკრებილი კახეთში ამბერკი გაჩეჩილაძის მიერ. თბილისი: „საბჭოთა საქართველო“.

წერეთელი, გიორგი. (1967). „ათას ერთი ღამე“, ტ. I, თბილისი: „საბჭოთა საქართველო“.

ხალხური სიბრძნე. (1964). ტ. III, თბილისი: „ნაკადული“.

Uther, Hans-Jörg. Te types of International Folktales. A classification and Bibliography. Based on the System of Anti Arne and Stith Thompson Paprt 1, part 2. Helsinki Academia Scientiarum Fennica.

References:

- „Atas erti ghame“. (1969). T'. I. [“A Thousand and One Nights”, vol. I]. Tbilisi: „sabch'ota sakartvelo“.
- Kartuli zep'irsit'q'viereba. (1976). Shek'rebili k'akhetshi Amberk'i Gachechiladzis mier. [Georgian Oral Tradition. Collected in Kakheti by Amberki Gachechiladze]. Tbilisi: „sabch'ota sakartvelo“.
- K'ek'elidze, K', Baramidze, Al. (1969). dzveli kartuli lit'erat'uris ist'oria. [History of Old Georgian Literature]. Tbilisi: tsu.
- Khalkhuri sibrdzne. (1964). T'. III. [Folk Wisdom. Vol. III]. Tbilisi: „nak'aduli“.
- „Kilila da damana“. (1949). Igav-arak'ebi kartulad gadmoghebuli Vakht'ang VI-isa da Sul Khan-Saba Orbelianis mier. [“Kilila and Damana”. Fables and Tales Translated into Georgian by Vakhtang VI and Sul Khan-Saba Orbeliani]. Tbilisi: „sabch'ota mts'erali“.
- Ts'ereteli, Giorgi. (1967). „Stas erti ghame“. T'. I. [“A Thousand and One Nights”, Vol. I]. Tbilisi: „sabch'ota sakartvelo“.
- „Tuti-name“. (2008). Sp'arsulidan targmna Magali Todua. [“Tuti-name”. Translated from Persian by Magali Todua]. Tbilisi: „kartuli biografiuli tsent'ri“, „saari“.
- Uther, Hans-Jörg. Te types of International Folktales. A classification and Bibliography. Based on the System of Anti Aarne and Stith Thompson Paprt 1, part 2, Helsinki Academia Scientiarum Fennica.